პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1980 წელი ოთხშაბათი 30 ივლისი № 175 (17818) ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვლევა გრძელდება

ფრენის მართვის ცენტრი, 28 ივლისი. (საკ-დისი). მეოთხე დღეა დედამიწისირგვლივ ორბიტაზე მუშაობს საერთაშორისო ეკიპაჟი, რომლის შემადგენლობაში ალიან ლეონიდ პოპოვი, ვალერი რიუმინი, ვიქტორ გორბატკო და ფამ ტუანი.

საუზმისა და სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსის საბორტო სისტემების შემოწმების შემდეგ კოსმონავტებმა განაგრძეს დაგეგმილი ერთობლივი სამუშაოები.

კოსმოსური მასალათმცოდნეობის პროგრამის შესაბამისად ვიქტორ გორბატკო და ფამ ტუანი ასრულებენ საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის ექსპერიმენტებს „იმიტატორსა“ და „ჰალონგს“. პირველი ექსპერიმენტის დანიშნულებაა განსაზღვროს ტემპერატურის პროფილი დანადგარ „კრისტალის“ ელექტროსახურებელ კამერაში, ხოლო მეორე ხორციელდება უწონობის პირობებში ნახევრადგამტარი მასალის გალიუმ ფოსფიდის მონოკრისტალის მიღების მიზნით.

ბულგარელი სპეციალისტების მიერ შემუშავებული და დამზადებული „სპექტრ-15“ აპარატურის საშუალებით სტუმარი ექსპედიციის ეკიპაჟმა შეასრულა ექსპერიმენტი „ილუმინატორი“, რომლის მიზანია [illegible] შეფასება მისცეს [illegible] ატმოსფეროს [illegible] თვისებების შეცვლას „სალუტ-6“ სადგურზე, რომელიც დიდხანს [illegible] პირობებზე [illegible] აგრეთვე ატმოსფეროს მახასიათებლები მზის სინათლის სპექტრომეტრირებისა და ჰორიზონტის სხვადასხვა სიმაღლეზე მზის ფოტოგრაფირების გზით.

სალამოს კავშირის ორი სატელევიზიო სეანსის დროს მოეწყობა ეკიპაჟის პრესკონფერენცია ფრენის მართვის ცენტრში მყოფი საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისათვის.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებისა და კოსმონავტთა მოხსენებების მიხედვით, „სალუტ-6“-„სოიუზ-36“-„სოიუზ-37“ ორბიტული კომპლექსის საბორტო სისტემები და სამეცნიერო აპარატურა ნორმალურად მუშაობს.

ამხანაგები პოპოვი, რიუმინი, გორბატკო და ფამ ტუანი თავს კარგად გრძნობენ.

XXVI სკკპ ყრილობის შესახვედრად

ერთნაირი შემართებით

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება სკკპ XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის სოციალისტური შეჯიბრების შესახებ ჩვენი ყოველდღიური მუშაობის მთავარი პროგრამა გახდა. შრომითი და რევოლუციური ტრადიციების ერთგული კოლექტივი ყველაფერს აკეთებს ამისათვის, რომ პირნათლად შეხვდეს კომუნისტთა დიდ ფორუმს.

ელექტროვაგონშემკეთებლები მტკიცე ბაზის ქმნიან მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა წარმატებით შესასრულებლად. მათ ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით შეასრულეს ხუთწლიანი გეგმა და მნიშვნელოვნად უმატეს შრომითს ტემპს. ქარხნის კოლექტივმა ახალი, გადიდებული ვალდებულება იკისრა და გადაწყვიტა წლის ბოლომდი დაამზადოს 100 ათასი მანეთით მეტი პროდუქცია, ვიდრე ამას წინანდელი ვალდებულება ითვალისწინებდა, მომავალი წლის ორი თვის გეგმა 23 თებერვლისათვის, სკკპ XXVI ყრილობის გახსნის დღისათვის შესრულდება.

საერთოდ მეთერთმეტე ხუთწლედში ჩვენს კოლექტივს ძალიან რთული და პასუხსაგები ამოცანის გადაწყვეტა მოუწევს: ოთხჯერ უნდა გადიდდეს პროდუქციის გამოშვება. მართალია, წარმოების მოცულობის ასეთ მკვეთრ ზრდაში განერალური რეკონსტრუქცია დაგვეხმარება, მაგრამ მთავარ სირთულეთა დაძლევა მაინც კოლექტივს მოუწევს. რახან სიტყვამ მოიტანა და საწარმოს რეკონსტრუქციაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, უნდა აღვნიშნო, რომ მწყობრში ჩადგა განახლებული საინსტრუმენტო, მექანიკური, ელექტროსაქციების, ელექტრომოწყობილობის შემკეთებელი საამქროები, მთავრდება ურიკებისა და გოგორწყვილების საამქროს რეკონსტრუქციაც.

სახელმწიფო დავალებათა წარმატებით შესასრულებლად ერთნაირად იბრძვის ყველა საამქროს, უბნისა და ბრიგადის კოლექტივი. ვმუშაობთ უჩამორჩენილებოდ, ვაგრძელებთ დიდ შრომითსა და რევოლუციურ ტრადიციებს.

ტ. ჯაბაური,
თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის უფროსი.



საყოველთაო ზრუნვა—პირუტყვის საკვების დამზადებას!

ტბილისირა ლიების ათვისებამ შესაძლებლობა მისცა მახარაძის საკვების მოპოვების სამეურნეობათშორისო გაერთიანებას, რომელიც ახლახან შეიქმნა, გასულ წელს პირველად დამზადებინა ბალიასტომის მიდამოებში რამდენიმე ათასი ტონა თივა.

უკვე მიმდინარე წელს საკვების მომპოვებლები პალიასტომზე დამზადებენ 15 ათას ტონა თივას — ორნახევარჯერ მეტს, ვიდრე შარშან.

სურათებზე: პალიასტომის ლიებში მოთიბული თივა ტივებით გადააქვთ მახარაძის რაიონის მეცხოველეობის ფერმებში. ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის აგრონომი კორნელი სიმაშვილი (მარცხნივ) და სოფელ კოზეკათის კოლმეურნეობის საკვებმომპოვებელთა ბრიგადის ბრიგადირი გრიგოლ ბოლქვაძე ტბისპირა ლიებში.

ი. დავითაშვილისა და მ. დათიკაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



სად როგორ იყენებენ წყალს

წლევანდელი რწყვის სეზონი რთული და ძნელი იქნება. და ეს წინასწარ იცოდნენ სარწყავი მიწათმოქმედების ყველა რაიონში. საქმე ის არის, რომ სიონის, ხრამის, თბილისისა და სხვა წყალსაცავები, მცირე მელიორაციის წყალსატევები უმნიშვნელო ნალექებისა და თოვლის საფარის გამო უაღრესად არასაკმარისად ივსებოდა. ვერ იყო სანუგეშო ვერც ჰიდრომეტეოროლოგთა პროგნოზები, რომლებიც გვალვიან ზაფხულსა და სარწყავი წყაროების გაწყალმარჩხებას წინასწარმეტყველებდნენ.

ასეთ პირობებში საჭირო იყო მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ექსპლოატაციის სამსახურების მაღალი ორგანიზებულობა და აწყობილი მუშაობა, სარწყავი წყლის რაციონალური გამოყენება, წყალსარგებლობის გეგმების დაცვა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სარეველების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება და ნიადაგის მოვლის გაუმჯობესება, რათა მიწას მეტი ტენი შეენახა.

სავეგეტაციო რწყვის სეზონი ძირითადად ორგანიზებულად დაიწყო. მაგრამ მთელ რიგ რაიონებში რწყვისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამო უხეშად ირღვეოდა წყალსარგებლობის გრაფიკები, არ ეწყობოდა ღამის რწყვა, რაც წყლის დაზოგვის შესაძლებლობას იძლევა, დანიშნულებისამებრ არ იყენებდნენ კვალიფიციურ მრწყველებს. ამ და სხვა ნაკლოვანებებმა დაღი დაასვეს რწყვის კალენდარული გეგმების შესრულებას, მაგალითად, სიღნაღის რაიონში 22 ივლისისათვის მოსარწყავი 9.322 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან მორწყული იყო მხოლოდ 5.408 ჰექტარი, თელავის რაიონში შესაბამისად 17.728 და 11,990, ახმეტის რაიონში 6.776 და 3.990, გურჯაანის რაიონში 13.242 და 6.977 ჰექტარი. გაცილებით ნაკლებად მოირწყა სავარგულები ლაგოდეხის, აგრეთვე თეთრი წყაროს, კასპისა და სხვა რაიონებში, საველეტაციო რწყვის ვადების დარღვევა და სარწყავი წყლის არარაციონალური გამოყენება მით უფრო შეუწყნარებელია, რომ მეურნეობებს აქვთ ნიადაგის ტენიანობის მდგომარეობის მეცნიერულად დასაბუთებული მონაცემები, ამა თუ იმ ვადებში რწყვის მონყობის რეკომენდაციები.

მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ განიხილა კახეთის რეგიონში რწყვის სამუშაოთა მიმდინარეობა. შემოწმებულია ზემო ალაზნის არხის წყლით რწყვის გრაფიკი. რესპუბლიკის მეურნეობებმა დამატებით მიიღეს 15 მოძრავი სატუმბი სადგური და 15 დასაწვიმი მანქანა. (საქინფორმი).

● ●

მიწა ტენს მოითხოვს

ვინც ერთხელ მაინც ყოფილა ჩვენს რაიონში, იცის, რა ლამაზია ჩვენი მხარე. საითაც გაიხედავ, ყველგან ვენახები, ბაღები, ბოსტნები, პურის ყანები გადაჭიმულია. სულ რამდენიმე ათეული წლის წინათ ჩვენში მხოლოდ მარცვლეულიც მოჰყავდათ და ისიც მცირე მოსავალს იძლეოდა. როცა ყანას თესავდნენ, ადამიანებმა არ იცოდნენ, მიიღებდნენ თუ არა მოსავალს. თუ წვიმა არ მოვიდოდა, ნათესები იღუპებოდა.

მე კახელი კაცი ვარ და კარგად ვიცი რა არის გვალვა. მას მხოლოდ ერთი წამალი — მორწყვა შველის. ჩვენში ბევრი რამ გაკეთდა საამისოდ, მაგრამ ამ დღეებში, როცა ძლიერი გვალვა დაატყდა ჩვენს მხარეს, ყოველი მშრომელის წინაშე დგას სხვა ამოცანა — უნარიანად გამოვიყენოთ სარწყავი წყალი, გავუფრთხილდეთ ყოველ წვეთს.

აი რატომაა, რომ სოფლის ყველა მშრომელისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვას — გვალვისაგან დაიცვან მოსავალი—დიდი მოწონებით შეხვდა რაიონის სამელიორაციო გაერთიანების მთელი კოლექტივი. სარწყავი მიწები მომცრო ნაკვეთებად დავყავით, რომლებსაც მივამაგრეთ მრწყველთა ბრიგადები. ყოველ მრწყველს აქვს სპეციალისტთა რჩევით შედგენილი სამუშაოთა გრაფიკი. გრაფიკი ითვალისწინებს მხოლოდ იმ ნაკვეთებისა და კულტურების რწყვას, რომლებსაც სწორედ ამ დროს სჭირდება წყალი და ყველაზე რაციონალური დოზებით.

ვრწყავთ დაწვიმების პროგრესული მეთოდით. ეს მოსავლიანობას ადიდებს 20-40 პროცენტით. რა თქმა უნდა, დასანანია, რომ ეს მეთოდი რესპუბლიკაში ჯერაც მასობრივად არ არის გავრცელებული. უკრაინაში, მაგალითად, დაწვიმებით ირწყვება მთელი საკარგულების 80 პროცენტი, მთლიანად საქართველოში კი — 6-8 პროცენტი.

ჩვენი გაერთიანების მთელი ტექნიკა „კი-50“, „კი-25“ და „ფრეგატის“ ტიპის დასაწვიმებელი დანადგარები სრული დატვირთვით მუშაობენ. ყველას ერთი მისწრაფება გვაქვს—მივაღწიოთ, რომ ყოველმა კულტურამ, ყოველმა ჰექტარმა მიწამ მიიღოს საჭირო რაოდენობის ტენი, მაქსიმალურად გამოვიყენოთ

გ. ნ ი ნ ა ,
„ბ ა ლ ა ხ ს ,
ს ა ბ ა ჭ ო ,
ს ა ბ ა ჭ ო ,
ს ა ბ ა ჭ ო ,
ბ ა ლ ა ხ ს ,
ბ ა ლ ა ხ ს ,
**ბ ა ლ ა ხ ს

ასკმოქმედებელ ობიექტებზე

დრო გარბის, საჭიროა ტემპი!

რუსთავი. ჯვლავ შეუნელებელი ყურადღების ცენტრშია. აქ მიმდინარეობს განსაკუთრებული მნიშვნელობის სამრეწველო ობიექტის მშენებლობა: მწყობრში უნდა ჩადგეს ელექტროლიზური ორაანგის საამქრო. სიტყვა „საამქრო“ პირობითად უნდა გავიგოთ, იმიტომ რომ ფაქტობრივად აქ შენდება გიგანტი, რომელსაც მსოფლიოში ვერც ერთი მონათესავე საწარმო ვერ შეედრება. წარმოიდგინეთ მშენებლობის მასშტაბურობა, თუ იგი რამდენიმე ვეებერთელა კორპუსისაგან შედგება და წელიწადში ელექტროტექნიკური მრეწველობისათვის ძალზე საჭირო ათასობით ტონა პროდუქციას დამზადებს.

ეს ციფრი ზოგისთვის ბევრს აფიქრებს მიტყვეულებს, მაგრამ ვინც ამ პროდუქციის მნიშვნელობა იცის, იმისათვის ბევრის მთქმელია.

საამქროს მშენებლობას დიდ ყურადღებას უთმობენ საკავშირო და რესპუბლიკის ზემდგომი ორგანოები.

რატომ მიეცა უპირატესობა საქართველოს და, კერძოდ, ქალაქ რუსთავს, როცა საქმე ელექტროლიზური ორაანგის წარმოების მშენებლობას შეეხო? ამას ორი მთავარი მიზეზი აქვს: ჯერ ერთი, პროდუქცია, რომელსაც აქ დამზადებენ, საკვანძოესო ხარისხის მნგანუმშისაგან მიიღება. მანგანუმის ასეთი საბადოები კი, როგორც ცნობილია, ჭიათურაშია გაწყლავებული. მეორე მიზეზი, რომელიც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ის გახლავთ, რომ რუსთაველებს ელექტროლიზური ორაანგის წარმოების საკმაოდ მდიდარი გამოცდილება აქვთ. აქ ჯერ ხანა არსებობს მცირე სიმძლავრის საამქრო, რომელიც წელიწადში ტონობით პროდუქციას იძლევა. მართალია, პროდუქციის დამზადების ტექნოლოგიის თვალსაზრისით ძველი და ახალი საწარმოები ზოგ შემთხვევაში განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაგრამ ეს არ არის პრინციპულად მთავარი, გამოცდილება მაინც გამოცდილებაა.

მაშ ასე, მიმდინარეობს განსაკუთრებული მნიშვნელობის სამრეწველო ობიექტის მშენებლობა, რომელიც მესამე კვარტალში უნდა დამთავრდეს, სექტემბერში კი გეგმით გასამართავი სამუშაოები უნდა დაიწყოს. საამქროს ასამოქმედებლად გათვალისწინებულმა ვადებმა, როგორც იტყვიან, „ჯარზე მოგვიკაკუნა. როგორ გვაქვს საქმე, ჩავიტანეთ კი ნაგარაუდევ დროში? ამ კითხვაზე ერთბაშად პასუხის გაცემა ძნელია. გენერალური მოიჯარადრე ორგანიზაციის, საქართველოს სსრ სამშენებლო სამინისტროს № 1 ტრესტის პარტიული კომიტეტის მდივანმა კ. შერმადინმა და შემკვეთი ორგანიზაციის რუსთავის ქიმიური ქარხნის პარტკომის მდივანმა ჯ. რუხაძემ გვითხრეს, რომ აუცილებლად უნდა ჩავიტიოთო. ეს ადამიანები ხელმძღვანელობენ ვეებერთელა პარტიულ ორგანიზაციებს, არიან კომპეტენტურები როგორც სპეციალისტები, დღეისათვის მხოლოდ მშენებლობის მსვლელობით ცხოვრობენ და წონიან თავიანთ წამყვამს.

ისე კი, პირდაპირ ვიტყვით, მდგომარეობა ძალზე რთული და დაძაბულია. ასათვისებელია 32 მილიონი მანეთის კაპიტალდაბანდება, დასამონტაჟებელია 616 ერთეული საზღვარგარეთული დანადგარი. ერთი სიტყვით, კოლოსალური მოცულობის სამუშაოები უნდა შესრულდეს. სამწუხაროდ, გასულ თვეებში ორგანიზაციული და ტექნიკური ხასიათის საგრძნობი შეფერხებები იყო. ახლა საქმის მსვლელობა კალაპოტში დგება: მთავრდება ძირითადი სამშენებლო სამუშაოები, რაც საშუალებას მისცემს მემონტაჟეებს გაშლილი ფრონტით გამოვიდნენ სამოქმედო ასპარეზზე, აჩვენონ თავიანთი შესაძლებლობანი, ოსტატობა, ოპერატიულად საკითხის გადაწყვეტის უნარი. ახლა მათ შემართებულ შრომაზეა დამოკიდებული თვის დროზე ობიექტის საექსპლოატაციოდ გადაცემის ბედი, და გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რესპუბლიკის პრესტიჟიც.

დასამალი არ არის, რომ შემკვეთსა და მოიჯარადრე ორგანიზაციებს შორის არცთუ ისე იშვიათია ხოლმე გაუთავებელი კამათი, საქმის მოუგვარებლობის ერთმანეთისათვის გადაბრალების შემთხვევები და სხვა. ამას ზიანის მეტი არაფერი მოაქვს. ეს ახლა კარგად შეიგნო ორივე მხარემ და ერთმანეთისადმი პრეტენზიებს ერთმანეთის დახმარება ამჯობინეს. საქმისადმი ასეთი დამოკიდებულების სისწორეში ისინი ჯერ კიდევ ამიკისა და მინერალური სასუქების წარმოების გენერალური რეკონსტრუქციის განხორციელების პროცესში დარწმუნდნენ.

ახლა საჭიროა გაძლიერდეს მუშაობის ტემპი. ეს რომ ასე მოხდეს, გაორკეცებული ენერგიით უნდა შეგიტიოთ საქმეს, ოპერატიულად უზრუნველვყოთ ობიექტი ყოველგვარი საჭირო მასალით, დანადგარით. ბევრია დამოკიდებული „საქმეკანმონტაჟის,“ „საქელექტრომონტაჟის“ ტრესტების, რუსთავის „ფოლადკონსტრუქციების“ სამმართველოების კოლექტივების გამართულ, კეთილსინდისიერ შრომაზე. ჩამოთვლილი ორგანიზაციების უფროსები ო. წიგნაძე, ჯ. ცხადაშვილი, ი. ბაქრაძე გამოცდილი, მაღალი კლასის სპეციალისტები არიან, და ვიმედოვნებთ, რომ ამ რთულ სიტუაციაში ისინი თავიანთ ორგანიზატორულ ნიჭსაც მთლიანად გამოავლენენ.

ჩვენ ცალკე გამოვყოფთ როსტოვის „მონტაჟავტომატიკის“ ტრესტის თბილისის სამმართველოს კოლექტივს და შევახსენებთ მის უფროსს ი. ქოჩიაშვილს, რომ მას ახლა ურთულესი და ძალზე პასუხსაგები სამუშაოები აქვს შესასრულებელი. როგორც სამმართველოს უფროსმა, ისე ყველა მემონტაჟემ უნდა დაამტკიცოს, რომ მათ შესწევთ უნარი გადალახონ სიძნელენი და სასურველ მიზანს მიაღწიონ. ამისათვის უნდა გამოვიჯნოთ შრომითი მეტოქეობის ყველა ფორმა და მეთოდი, უფრო ქმედითი გავხადოთ სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მშენებლები ამთავრებენ თავიანთ საქმეს, იქმნება სამუშაოთა ფრონტის მკვეთრად გაფართოების შესაძლებლობა. იქნებ უკვე საჭიროა და ღირდეს ზოგიერთი სამმართველოს კოლექტივის ორდა სამცვლიან მუშაობაზე გადაყვანა. დრო აღარ ითმენს. აგვისტოც მალე გაირბენს და ფაქტის წინაშე დავდგებიდეს.

ცხადია, გათვალისწინებულ დროს ობიექტის ამოქმედება დღეისათვის უპირველესი საზოგადოებრივია. მაგრამ, ისევე სადღეისო საზოგადოებრივია მეორე საქმეც: ეს გახლავთ ახალი საწარმოს კადრებთ დაკომპლექტების საკითხი. მართალია, „აქ ძველი საწარმოს გამოცდილი სპეციალისტები გადმოვლენ, მაგრამ ეს საკმარისი არ იქნება. საქართველოს პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა და პროფესიულ-ტექნიკურმა სასწავლებლებმა უნდა იზრუნონ მაღალი კვალიფიკაციის ინჟინრებითა და მუშებით საწარმოს უზრუნველსაყოფად. საწარმო თავის სპეციფიკით უნიკალურია და მას ისეთი სპეციალობის მუშები სჭირდება, რომლებსაც წინათ არ ამზადებდნენ. ერთი სიტყვით, კადრების მომზადების საკითხზე დროულად უნდა ვიზრუნოთ, რათა სულ მოკლე დროში უხერხულ მდგომარეობაში არ ჩავარდეთ.

ერთი საკითხიც. გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციამ საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის, ქიმიური ქარხნისა და № 1 ტრესტის პარტიული კომიტეტის დახმარებით მშენებლობაზე ჩამოაყალიბა საგუშაგო, რომელიც სისტემატურად მოგვაწვდის ცნობებს მშენებლობის სამუშაოთა მიმდინარეობის შესახებ.

შ. ამაშუკელი.

„კომუნისტის“ სპეც. კორ.

შენდება, მშენდება

დამთავრდა შავი ზღვის სანაპიროს გზატკეცილის ნაწილის რეკონსტრუქცია. გაგრასა და ახალ ათონს შორის. ამ საკურორტო მაგისტრალის კეთილმოწყობა გათვალისწინებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს მინისტრთა საბჭოს დადგენილებით „აფხაზეთის ასსრ გუდაუთის რაიონის შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ღონისძიებათა შესახებ“.

ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე ილაპარაკეს პარტიის გუდაუთის რაიკომის თათბირზე. ამ თათბირზე მოიწვიეს საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ სამინისტროებისა და უწყებების, სამშენებლო ორგანიზაციების, რაიონის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

გუდაუთის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ტარკილმა დამსწრეთ აცნობა თუ რა გაკეთდა და რა კეთდება დასახელებული დადგენილების შესრულებისათვის. რაიონში უკვე აიგო ბევრი ობიექტი: წარისა და ანუხვის სავაჭრო ცენტრები. 1300 სულისათვის გათვალისწინებული ღორის სასუქებელი მოედანი, სოფელ აჭანდარას მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მოზარდეულის სასუქებელი მოედნის პირველი რიგი. გაჰყავთ გზები აბღარ ხეკში, ახალ ათონში, აჭანდარაში, ჯირხვაში, მიმდინარეობს ახალი ათონის პანსიონატ-პოლიკლინიკის რეკონსტრუქცია, სოფელ ლიხნში შენდება 1176 მოსწავლისათვის გათვალისწინებული საშუალო სკოლა და კულტურის სახლი, გუდაუთში — 90 ბინანი საცხოვრებელი სახლი, სავაჭრო ცენტრები დურიფშსა და ლიხნში და ა. შ. დასასრულს უახლოვდება ბევრი ობიექტის დაპროექტება, რომელთა აგება გათვალისწინებულია მეთერთმეტე ხუთწლედში. ეს არის სტადმის, სასამართლოსა და პროკურატურის, კავშირგამუნლობის რაიონული კვანძის შენობები, სანატორიული კომპლექსი ახალ ათონში და ტურბაზა ოქროს ნაპირზე, საავტომობილო ხიდი მდინარე გუდაუზე.

მაგრამ მთელ გამოყოფილ სახსრებს დადგენილ ვადებში როდი ითვისებენ, ჭიანურდება ცალკეული ობიექტების დაპროექტების დამთავრება და მშენებლობის დაწყება, ზოგჯერ არ კმარა საშენი მასალები.

თათბირზე გამოვიდა აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ჯ. უბილავა.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. ე. ჩერქეზიამ.

(საქინფორმი).

ფართო გზაზე

გ. კაკაურიძემ წარჩინებით დაამთავრა წულუკიძის პროფტექნიკური სასწავლებელი. ახალგაზრდა სპეციალისტს შეეძლო უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხულიყო. გ. კაკაურიძემ კი სხვა გადაწყვეტილება მიიღო — მშობლიურ სოფელში დაიწყო მუშაობა ტრაქტორისტად.

კურსდამთავრებულთა უმრავლესობა, რომლებმაც პროფტექნიკური სასწავლებელი წარჩინებით დაამთავრეს, მშობლიურ ადგილებში რჩება, რათა არჩეული პროფესიით იმუშაოს.

ზოგიერთმა გადაწყვეტა სწავლა განაგრძოს უმაღლეს სასწავლებელში.

20 ივლისს გ. კაკაურიძე და პროფტექნიკური სასწავლებლების 86 ფრიადოსანი კურსდამთავრებული საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან მიიწვიეს თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური მუზეუმის ფილიალში, სადაც მათ საზეიმოდ გადასცეს სასწავლებლის დამთავრების დიპლომები.

ახალგაზრდა სპეციალისტებს მიესალმნენ საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ს. რიგვავა, პარტიის ვეტერანები დ. ლომაძე, ს. ხასაია, სოციალისტური შრომის გმირები ვ. ქემაშვილი, გ. კურტანიძე, ე. სოლომონია, რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის პირველი მოადგილე ა. გიორხელიძე და სხვები.

პროფტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულები გაეცნენ მუზეუმის ექსპოზიციებს.

შენდება, მშენდება

ერთეული საზღვარგარეთული დანადგარი. ერთი სიტყვით, კოლოსალური მოცულობის სამუშაოები უნდა შესრულდეს. სამწუხაროდ, გასულ თვეებში ორგანიზაციული და ტექნიკური ხასიათის საგრძნობი შეფერხებები იყო. ახლა საქმის მსვლელობა კალაპოტში დგება: მთავრდება ძირითადი სამშენებლო სამუშაოები, რაც საშუალებას მისცემს მემონტაჟეებს გაშლილი ფრონტით გამოვიდნენ სამოქმედო ასპარეზზე, აჩვენონ თავიანთი შესაძლებლობანი, ოსტატობა, ოპერატიულად საკითხის გადაწყვეტის უნარი. ახლა მათ შემართებულ შრომაზეა დამოკიდებული თვის დროზე ობიექტის საექსპლოატაციოდ გადაცემის ბედი, და გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რესპუბლიკის პრესტიჟიც.

დასამალი არ არის, რომ შემკვეთსა და მოიჯარადრე ორგანიზაციებს შორის არცთუ ისე იშვიათია ხოლმე გაუთავებელი კამათი, საქმის მოუგვარებლობის ერთმანეთისათვის გადაბრალების შემთხვევები და სხვა. ამას ზიანის მეტი არაფერი მოაქვს. ეს ახლა კარგად შეიგნო ორივე მხარემ და ერთმანეთისადმი პრეტენზიებს ერთმანეთის დახმარება ამჯობინეს. საქმისადმი ასეთი დამოკიდებულების სისწორეში ისინი ჯერ კიდევ ამიკისა და მინერალური სასუქების წარმოების გენერალური რეკონსტრუქციის განხორციელების პროცესში დარწმუნდნენ.

ახლა საჭიროა გაძლიერდეს მუშაობის ტემპი. ეს რომ ასე მოხდეს, გაორკეცებული ენერგიით უნდა შეგიტიოთ საქმეს, ოპერატიულად უზრუნველვყოთ ობიექტი ყოველგვარი საჭირო მასალით, დანადგარით. ბევრია დამოკიდებული „საქმეკანმონტაჟის,“ „საქელექტრომონტაჟის“ ტრესტების, რუსთავის „ფოლადკონსტრუქციების“ სამმართველოების კოლექტივების გამართულ, კეთილსინდისიერ შრომაზე. ჩამოთვლილი ორგანიზაციების უფროსები ო. წიგნაძე, ჯ. ცხადაშვილი, ი. ბაქრაძე გამოცდილი, მაღალი კლასის სპეციალისტები არიან, და ვიმედოვნებთ, რომ ამ რთულ სიტუაციაში ისინი თავიანთ ორგანიზატორულ ნიჭსაც მთლიანად გამოავლენენ.

ჩვენ ცალკე გამოვყოფთ როსტოვის „მონტაჟავტომატიკის“ ტრესტის თბილისის სამმართველოს კოლექტივს და შევახსენებთ მის უფროსს ი. ქოჩიაშვილს, რომ მას ახლა ურთულესი და ძალზე პასუხსაგები სამუშაოები აქვს შესასრულებელი. როგორც სამმართველოს უფროსმა, ისე ყველა მემონტაჟემ უნდა დაამტკიცოს, რომ მათ შესწევთ უნარი გადალახონ სიძნელენი და სასურველ მიზანს მიაღწიონ. ამისათვის უნდა გამოვიჯნოთ შრომითი მეტოქეობის ყველა ფორმა და მეთოდი, უფრო ქმედითი გავხადოთ სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მშენებლები ამთავრებენ თავიანთ საქმეს, იქმნება სამუშაოთა ფრონტის მკვეთრად გაფართოების შესაძლებლობა. იქნებ უკვე საჭიროა და ღირდეს ზოგიერთი სამმართველოს კოლექტივის ორდა სამცვლიან მუშაობაზე გადაყვანა. დრო აღარ ითმენს. აგვისტოც მალე გაირბენს და ფაქტის წინაშე დავდგებიდეს.

ცხადია, გათვალისწინებულ დროს ობიექტის ამოქმედება დღეისათვის უპირველესი საზოგადოებრივია. მაგრამ, ისევე სადღეისო საზოგადოებრივია მეორე საქმეც: ეს გახლავთ ახალი საწარმოს კადრებთ დაკომპლექტების საკითხი. მართალია, „აქ ძველი საწარმოს გამოცდილი სპეციალისტები გადმოვლენ, მაგრამ ეს საკმარისი არ იქნება. საქართველოს პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა და პროფესიულ-ტექნიკურმა სასწავლებლებმა უნდა იზრუნონ მაღალი კვალიფიკაციის ინჟინრებითა და მუშებით საწარმოს უზრუნველსაყოფად. საწარმო თავის სპეციფიკით უნიკალურია და მას ისეთი სპეციალობის მუშები სჭირდება, რომლებსაც წინათ არ ამზადებდნენ. ერთი სიტყვით, კადრების მომზადების საკითხზე დროულად უნდა ვიზრუნოთ, რათა სულ მოკლე დროში უხერხულ მდგომარეობაში არ ჩავარდეთ.

ერთი საკითხიც. გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციამ საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის, ქიმიური ქარხნისა და № 1 ტრესტის პარტიული კომიტეტის დახმარებით მშენებლობაზე ჩამოაყალიბა საგუშაგო, რომელიც სისტემატურად მოგვაწვდის ცნობებს მშენებლობის სამუშაოთა მიმდინარეობის შესახებ.

შ. ამაშუკელი.

„კომუნისტის“ სპეც. კორ.

ყმაწვილი ქარხანაში მოვიდა...

ფოთის „ელექტროაპარატის“ ქარხნის ადმინისტრაციამ პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტთან შეუთანხმებლად სამუშაოზე მიიღო 14 წლის „ყმაწვილი, რითაც უხეშად დაარღვია საქართველოს სსრ შრომის კანონმდებლობის კოდექსის 167-ე მუხლი. ანალოგიური დარღვევები მოხდა ცხინვალის ავტოსარემონტო ქარხანაში და წალენჯიხის № 2 ჩაის ფაბრიკაში. რესპუბლიკის მთელ რიგ საწარმოებსა და მეურნეობებში ჯერ კიდევ ხშირია პროფკავშირთა ადგილობრივ კომიტეტებთან, არასრულწლოვანთა საქმეების საქალაქო და რაიონულ კომისიებთან წინასწარ შეუთანხმებლად მოზარდთა დათხოვნის შემთხვევებიც. არცთუ ისე იშვიათად მოზარდების შრომას იყენებენ ისეთ სამუშაოებზე, სადაც ეს აკრძალულია კანონმდებლობით, ხდება არასრულწლოვანთა სამუშაოზე მიღება სამედიცინო შემოწმების გაუვლელად.

ეს ფაქტები მოიყვანეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბჭოთა კანონმდებლობისა და სოციალისტური კანონიერების საკითხებისა და ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივი კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე, რომლის მონაწილეებმა განიხილეს რესპუბლიკის პროკურორის ა. მ. ბარაბაძის მოხსენება არასრულწლოვანთა შრომის კანონმდებლობის უხეში დარღვევების შესახებ.

მუდმივი კომისიების მიერ მიღებულ დადგენილებაში რესპუბლიკის სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებს რეკომენდაცია მიეცათ პერიოდულად განიხილონ არასრულწლოვანთა შრომის კანონმდებლობის დაცვის მდგომარეობა მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში. ქმედითი ღონისძიებანი განახორციელონ ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. უნდა გავაძლიეროთ კონტროლი არასრულწლოვანთა შრომის კანონმდებლობის შესრულებისადმი, ხელი შევუწყოთ დამრგებლობის უფრო ფართოდ გავითარებას, შეუნელებლად ვიზრუნოთ მოზარდთა შრომის, ყოფისა და დასვენების პირობების გაუმჯობესებისათვის, კონკრეტული ამოცანები დაისახა სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების წინაშე, რომლებმაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ მათს ტერიტორიაზე არსებულ საწარმოებსა და მეურნეობებში არასრულწლოვანთა შრომის დაცვის საკითხებს. მუდმივ კომისიებთან, არასრულწლოვანთა საქმეთა კომისიებთან და დეპუტატებთან ერთად ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა კონტროლი უნდა დაუწესონ მოზარდთა შრომის კანონმდებლობის შესრულებას და მკაცრად მოჰკითხონ იმათ, ვინც მას არღვევს. (საქინფორმი).

ᲐᲮᲚᲝ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲞᲐᲚᲔᲡᲢᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚ ᲡᲔᲡᲘᲐᲖᲔ

ნიუ-იორკი, 29 ივლისი. ამერიკის მიერ ისრაელის აგრესიული კურსის მხარდაჭერა ახლო აღმოსავლეთში მზარდი დაძაბულობის წყაროა. ამას აღნიშნავენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პალესტინის საკითხისადმი მიძღვნილი VII საგანგებო სესიის მონაწილენი. ამ სესიაზე უკვე გამოვიდნენ 100-მდე ქვეყნის წარმომადგენლები.

ნიგერიის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მინისტრმა პ. ბოლოკორმა განაცხადა, რომ ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების უხეში დარღვევა შეიძლება შეადაროთ მხოლოდ სამხრეთ აფრიკის რასისტული რეჟიმის პოლიციურ ტერორს. ნიგერიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მთლიანად უჭერს მხარს პალესტინელი ხალხის თვითგამორკვევის უფლებას. ვერავითარი, ნაწილობრივი შეთანხმებანი თუ ხელშეკრულებანი, თქვა მან, ვერ შეცვლის ახლო აღმოსავლეთში მდგომარეობის ყოვლისმომცველ და სამართლიან მოწესრიგებას.

კუბა-დევიდის შეთანხმებებმა, რომლებმაც პალესტინელებს წაართვა თავისი უფლებების განხორციელების საშუალება, ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის მოწესრიგება ჩიხში მოაქცია, თქვა ირმენის არაბთა რესპუბლიკის წარმომადგენელმა მოამსენ ამეიდ ალ-აინიმ. მან დაგმო ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია, რომელიც „უარს ამბობს“ ცნოს პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია, როგორც პალესტინელი ხალხის კანონიერი წარმომადგენელი, და ემუქრება კიდეც დასავლეთ ევროპის ქვეყნებს, რომლებიც ცდილობენ გაითვალისწინონ ახლო აღმოსავლეთის რეალური მდგომარეობა“.

საუდის არაბეთის დელეგატმა ალ-ჰაჯალამა აღნიშნა, რომ ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობა საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას.

ნიკარაგუის დელეგატმა ვ. ტინოკო ფონსეკამ განაცხადა, რომ ისრაელის პოლიტიკის შედეგად ახლო აღმოსავლეთში შეიქმნა აფეთქებასაშიში სიტუაცია: „მატუნობს დაძაბულობა, ამერიკელები ამზადებენ სწრაფი რეაგირების ძალებს, იქმნება სამხედრო ბაზები სხვის ტერიტორიებზე“. ორატორმა მოუწოდა განახორციელონ მტკიცე, ეფექტიანი ღონისძიებანი, რათა პალესტინელებმა დაიბრუნონ სამშობლო.

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მუდმივმა წარმომადგენელმა „გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ი. გულინსკიმ ხაზი გაუსვა, რომ ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტი კვლავინდებურად საერთაშორისო დაძაბულობის ერთ-ერთი საშიში კერაა. მიუხედავად იმისა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ არაერთგზის გააფრთხილა ისრაელი, იგი კვლავ ახორციელებს თავის კოლონიზატორულ გეგმებს, ახშობს წინააღმდეგობის მოძრაობას ოკუპირებულ ტერიტორიებზე, არ წყვეტს ტერორისტულ აქციებს იმათ წინააღმდეგ, ვინც იძულებულია თავი შეაფაროს მეზობელ სახელმწიფოებს.

დისკუსიის მონაწილეებმა, რომლებმაც მხარი დაუჭირეს პალესტინელი ხალხის უფლებების დაცვას, პრაქტიკულად ერთსულოვნად აღნიშნეს, რომ მისი ერთადერთი და კანონიერი წარმომადგენელია პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია, რომელიც ცნო 100-ზე მეტმა სახელმწიფომ. მისი მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის საბოლოო მოწესრიგება.

სესია მუშაობას განაგრძობს.

ᲔᲛᲑᲐᲠᲒᲝᲛ ᲫᲕᲐᲠ ᲒᲐᲭᲘᲠᲐ

ნიუ-იორკი, 29 ივლისი. ემბარგო, რომელიც ჯ. კარტერის ადმინისტრაციამ დაუწესა საბჭოთა კავშირისათვის მარცვლეულის მიწოდებას, სამარცხვინოდ ჩაიშალა — ასე მიაჩნიათ ამერიკის პრესასა და ქვეყნის პოლიტიკურ მოღვაწეებს.

„ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის სამინისტრო აღიარებს, — წერს გაზეთი, „ნიუსდეი“, — რომ საბჭოთა კავშირს არ გაუჭირვებია თავის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. მოსკოვის „დასჯის“ ცდა იმით დამთავრდა, რომ ემბარგოს ამერიკელი ფერმერები და გადასახადის გადამხდელნი ემსხვერპლნენ“. როგორც ამერიკის შეერთებული შტატების საქმიანი წრეების ორგანო ჟურნალი „ბიზნეს უიკი“ იუწყება, თეთრი სახლი, რომელიც ახლაღა მიხვდა თავისი ახირების უგუნურებას, გაფაციცებით ეძებს რაიმე მისაღებ ხერხს, როგორ თქვას უარი ემბარგოზე. „ჩვენი მოკავშირეების უმრავლესობის აზრით, ამგვარი ღონისძიებებით ბევრს ვერაფერს მიაღწევ“, — წერს „ნიუსდეი“, და დასძენს, რომ სულ უფრო გაძლიერდება ზემოქმედება თეთრ სახლზე, რათა მას შეაცვლევინონ პოლიტიკა სსრ კავშირთან ვაჭრობაში.

სსრ კავშირისათვის მარცვლეულის მიწოდებაზე ემბარგოს გაუქმებას მოითხოვს ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკური პარტია — „ქვეყნის ორ უდიდეს ბურჟუაზიულ პარტიათაგან ერთ-ერთი უდიდესი პარტია. რესპუბლიკელთა პარტიის საარჩევნო პლატფორმაში, რომელიც ამას წინათ მიიღეს დეტროიტში

ᲛᲮᲔᲓᲠᲘᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲒᲠᲐᲮᲕᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ

ფხენიანი, 29 ივლისი. ჩვენ მოვუწოდებთ მსოფლიოს ყველა ქვეყნის მთავრობებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, დემოკრატიულ პარტიებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ხმა აიმაღლონ კიმ ტე ჯუნისა და სხვა სამხრეთკორეელი დემოკრატების სიცოცხლის დასაცავად, რომელთაც ფიზიკური მოსპობით ემუქრება მხედრიონი.

ამ მოწოდებას შეიცავს კორეის ერთიანი დემოკრატიული სამამულო ფრონტის ცენტრალური კომიტეტის აქ გამოქვეყნებული განცხადება. განცხადება ამბლეს სამხრეთ კორეის სამხედრო ხუნტის ცდებს, ნებისმიერი მეთოდით მოსპოს თავისი პოლიტიკური მოწინააღმდეგეები და სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამს

ᲛᲮᲔᲓᲠᲘᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲒᲠᲐᲮᲕᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ

დილეგში მყოფ დემოკრატიულ მოღვაწეთა ბედის გამო.

ჩონ დუ ხვანის ხროვის განზრახვა, გაუსწორდეს კიმ ტე ჯუნს, უპირისპირდება მთელ კორეელ ხალხს, პროგრესულ საერთაშორისო საზოგადოებრიობას, რომლებიც მოითხოვენ მრავალრიცხოვან დემოკრატთა, სტუდენტთა და დიქტატურის წინააღმდეგ სახალხო გამოსვლების სხვა მონაწილეთა სატუსაღოებიდან დაუყოვნებლივ განთავისუფლებას.

განცხადებაში დაგმობილია ამერიკის შეერთებული შტატებისა და იაპონიის რეაქციის საქმიანობა, რომელიც მხარს უჭერს, სამხრეთ კორეის რეჟიმის რეპრესიების პოლიტიკას და ხელს უწყობს, კორეის გაერთიანებას.

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘ



ᲛᲔᲭᲘᲓᲠᲝ, ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲣᲚᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲐ

წარმატებით ვითარდება სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობა. ერთმანეთის დახმარება, მოწინავე გამოცდილების გაზიარება, მეგობართა მიღწევების შესწავლა და წარმოებაში დანერგვა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა მოძმე ქვეყნების სხვადასხვა დარგის მშრომელებისათვის. მაგალითად, ბევრი საბჭოთა სპეციალისტი იღვწის ახლა მრავალ სოციალისტურ ქვეყანაში. ისინი მეგობრებს ეხმარებიან ახალი სამრეწველო საწარმოების აშენებასა და ათვისებაში, საბჭოური ტექნიკის დამონტაჟებაში. ასევე საბჭოთა კავშირის მრავალ საწარმოში შეხვდებით სოციალისტურ ქვეყნებში დამზადებულ მოწყობილობას, რომელსაც მაღალ შეფასებას აძლევენ საბჭოთა სპეციალისტები.

სურათებზე: საბჭოთა კავშირის საფეიქრო საწარმოებში დიდი მოწონებით სარგებლობს ვოეტინის მანქანათაშენებელი ქარხნის „ზბროიოვკას“ პროდუქცია (მარცხნივ ზევით); პოლონური მაქმანიანი ტილო, რომელსაც ფაბრიკა „ფაკო“ უშვებს, დიდად პოპულარულია მთელ მსოფლიოში, მათ შორის საბჭოთა კავშირაში (მარცხნივ შუაში); საბჭოთა სატვირთო ავტომანქანები კამაზები. პოლონეთის ყეშუვის სატრანსპორტო ცენტრში (ქვევით); სოფიის ელექტრო-გარდამქმნელების ქარხანაში.

საკადესის ფოტოქრონიკა.

ᲐᲦᲛᲐᲨᲤᲝᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲥᲢᲘ

ვაშინგტონი, 29 ივლისი. ამერიკის ხელისუფლებმა მოაწყვეს მორიგი პროვოკაცია, რომლის აშკარა მიზანია დიალომატიური გართულებანი გამოიწვიოს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობაში, კიდევ უფრო გამოუთხაროს ძირი დაძაბულობის შენელებას. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტთან შეთანხმებით და მისი სანქციით ჩიკაგოს სამიგრაციო სამმართველომ „პოლიტიკური თავშესაფარი“ მისცა 12 წლის ბავშვს, რომელიც ფიზიკურად მოწყვეტეს თავის მშობლებს — საბჭოთა მოქალაქეებს.

ეს ამბავი ასე მოხდა. სსრ კავშირის ვაშინგტონის საელჩოს საკონსულო განყოფილებაში მაისში მოვიდნენ ცოლ-ქმარი ი. ლ. და ა. მ. პოლოვჩაკები, რომლებიც ითხოვდნენ სამშობლოში — საბჭოთა კავშირში დაბრუნების ნებართვას. ნათესავების მოწვევით და მათი დაპირებებით მოტყუებულნი ისინი წლის დამდეგს ჩამოვიდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში საცხოვრებლად. მათთან ერთად ჩამოვიდნენ მათი შვილებიც — სრულწლოვანი ქალაშვილი და ორი ვაჟი

მთარგმნელობითი ტრადიციების გამარჯვება

კანტი ქართულად

მარქსიზმის ერთ-ერთი თეორიული წანამძღვრის, გერმანელი კლასიკური ფილოსოფიის ფუძემდებლის იმანუელ კანტის „გენიალურ თხზულებას „წმინდა გონების კრიტიკას“ გამორჩეული ადგილი უჭირავს ფილოსოფიური აზრის განვითარების ისტორიაში. ამასებითად აქ მომზადდა საფუძველი დიალექტიკის თეორიის ისტორიის მაღალ დონეზე განვითარებისთვის, რომლის კრიტიკული ათვისებით ჩამოყალიბდა მეცნიერული მატერიალისტური მსოფლმეტყველება. კანტის ამ ნაწარმოებით ორ პერიოდად გაიყო ბურჟუაზიული ფილოსოფიის განვითარება წინაკრიტიკულ ანუ დოგმატურ და კანტის შემდეგდროინდელ ფილოსოფიად.

კანტის ამ ეპოქალური ნაწარმოების თაობაზე დავობდნენ რაციონალისტები და ირაციონალისტები, ლოგიცისტები და ფსიქოლოგისტები, ვოლუნტარისტები და ემპირიოკრიტიკოსები, დიალექტიკოსები და მეტაფიზიკოსები, ეს ბრძოლა თანამედროვე ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში კვლავაც აქტიურად გრძელდება.

ვ. ი. ლენინი ამ თხზულების ერსაკუთრებულ ღირებულებაზე უთითებდა, როცა აღნიშნავდა კანტთან მატერიალისტურ და იდეალისტურ ტენდენციებს, რომელთა გაერთიანების, კომპრომისის ფუძის გამო იყო, რომ კანტი ორაზროვანი კრიტიკის ობიექტი გახდა. ამდენადაც კანტი აღიარებდა ფენომენებს თავისთავად ობიექტურობას, იგი მატერიალისტი იყო, მაგრამ როცა მათ შეუმეცნებლად აღიარებდა, აგნოსტიციზმისა და იდეალიზმის მხარეს იდგა.

კანტის ეს ნაწარმოები და მთელი მისი ფილოსოფიური მემკვიდრეობა ჯერ კიდევ XIX საუკუნეში იყო ცნობილი ქართული აზროვნებისათვის, ხოლო მისი თარგმნით ჩვენში ამ ნახევარი საუკუნის წინათ დაინტერესდნენ. 1936 წელს გამოქვეყნდა „პროლეგომენების“ მ. გოგიბერიძისეული თარგმანი. ამის შემდეგ უკვე ოცის წლისგან იდგა კანტის კლასიკური ნაწარმოების „წმინდა გონების კრიტიკის“ თარგმნის აუცილებლობა; ამის შესრულება კი ქართული ფილოსოფიური ტერმინოლოგიის სკამაო სრულყოფილებისა და ჩვენში მთარგმნელობითი კულტურის მაღალი დონის მუდმივადვად, დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული.

ცნობილმა მთარგმნელმა შალვა ალუაშვილმა თავს იდო ეს მეტად ძნელი საქმე. ჰეგელის კლასიკური ნაწარმოებების „ლოგიკისა“ და „ესთეტიკის“ (ტ. 1) თარგმნის შემდეგ შ. პაპუაშვილმა დარგმატებით გადალახა კანტის „წმინდა გონების კრიტიკის“ მთარგმნელის წინაშე მდგარი ისეთი სიძნელეები, როგორიც არის ერთიანი სინტაქსური კონსტრუქციები, ტერმინოლოგიური სიძნელეები. კანტის ფრიად ძმიმე ტექსტში, მოძველებულ ენობრივ ფორმაში იგი საკმაო სიზუსტით აღწევდა კანტის მოძღვრების ფილოსოფიურ დედაარსს და მისი ფილოსოფიური ტერმინოლოგიის ადეკვატურ ქართულ ენაზე. ასეთი ეკვივალენტები, კარგად მოიხმარა ქართული ენის სიმდიდრე და მოქნილობა და მეცნიერულად მაღალ დონეზე შესრულებული ადეკვატური თარგმანი წარმოგვიდგინა.

მთარგმნელი დიდი ყურადღებით მოპკიდებია ჩვენს წინაპრებსაც, წარმატებით გამოუყენებია ეფრემ მცირისა და პეტრიწის მთარგმნელობითი გამოცდილება, მათი ფილოსოფიური ტერმინოლოგიური ნიუანსები. მთარგმნელს დიდი შრომა გაუწევია, როცა შეუდგენია კანტის უმთავრეს ფილოსოფიურ ტერმინთა ქართული შესატყვისების მოკლე ლექსიკონი და თარგმნილი ტექსტისათვის დაერთავს.

მთარგმნელი ტექსტზე მუშაობის დროს ასეთი ალტერნატივის წინაშე იდგა: ან უნდა მოემზადებინა კანტის თხზულების პირველი გამოცემის ტექსტი და მისთვის დაერთო მეორე გამოცემაში კანტის მიერ შეტანილი ცვლილებები, რადგან მათ პრინციპული მნიშვნელობა აქვთ, ან მეორე გამოცემის ტექსტისათვის უნდა დაერთო განსხვავებანი პირველი გამოცემიდან. მთარგმნელმა უთუოდ სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როცა ქართული თარგმანის საფუძვლად აიღო კანტის მიერ საბოლოოდ გადამუშავებული მეორე გამოცემის ტექსტი და თან დაურთო თანამიმდევრულად სქოლიოში ჩატანილი პირველი გამოცემის განსხვავებანი.

